პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 12 იანვარი, 1944 წ. № 9 (6903). ფასი 20 კაპ.

დაუღალავად ვანადგურებთ და ვდიოთ მგელს

„პრავდის“ მოწინავე — 10 იანვარი

ჯერ წითელი არმიის ზაფხულის შეტევითი ბრძოლების გრიალი არ შეწყვეტილიყო და საბჭოთა ჯარებმა ჰიტლერელ ყაჩაღებს თავს დაატეხეს ახალი გამანადგურებელი დარტყმები. ჩვენმა ნაწილებმა სასტიკად დაამარცხეს მოწინააღმდეგე ნეველის რაიონში, ზაპოროჟიეს დასავლეთით, დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. ძლევამოსილი საბჭოთა დროშა კვლავ ფრიალებს კროსტენში, ჟიტომირში, ნოვოგრადვოლინსკში, ბერდიჩევში, ბელაია ცერკოვში, კიროვოგრადში. გმირი საბჭოთა მეომრები დღისით და ღამით ანადგურებენ მტერს, სდევნიან და სულ უფრო და უფრო შორს მიერეკებიან ჩვენი მშობლიური მიწა-წყლიდან წყეულ გერმანელ დამპყრობთ.

წითელი არმიის სახელოვანი, სასიხარულო გამარჯვებებით დაიწყო ჩვენი ქვეყნისათვის ახალი, 1944 წელი. იგი ჩვენი წმიდა საქმის დიადი გამარჯვების წელი იქნება. გასულ წელს ისტორიაში უმაგალითო ბრძოლა სტალინგრადთან და კურსკთან ბრძოლა ისეთი სამხედრო მოვლენები იყო, რომლებმაც მოაახლოვა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების დღე. **„თუ სტალინგრადთან ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა“** (ი. სტალინი).

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე უდიდესი ბრძოლები გაჩაღდა. ყოველ საღამოობით რადიოს სასიხარულო ცნობები მოაქვს, რომ გრძელდება წითელი არმიის წარმატებითი შეტევა. გუშინ გამოქვეყნდა უშაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანება, მიძღვნილი წითელი არმიის ახალი გამარჯვებისადმი. უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად დაიკავეს უკრაინის საოლქო და დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი კიროვოგრადი — მოწინააღმდეგის თავდაცვის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი. საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ეგებება საყვარელი მხედართმთავრისა და ბელადის გამარჯვების მაუწყებელ ბრძანებებს. ისინი პატრიოტული აღფრთოვანების აზვირთებას იწვევენ ზურგში და ფრონტზე, ახალ-ახალ საგმირო საქმეს წარმოშობენ გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლის წინა კიდეზეც, საბჭოთა ზურგშიც—ქარხნებში, კოლმეურნეობებში, სამეცნიერო ინსტიტუტებში.

წითელი არმიის დარტყმების გამო საბჭოთა ჯარების შეუკავებელი მიძღოლების გამო მტერი იძულებულია უკან დაიხიოს, ამასთან ძალები დაჰკარგოს. მიმდინარე გაფთრებულ ბრძოლებში ჰიტლერულ არმიას კოლოსალური ზარალი მოსდის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. კიროვოგრადთან საბჭოთა ჯარებმა დაამარცხეს გერმანელთა სამი სატანკო, ერთი მოტორიზებული და ოთხი ქვეითი დივიზია. მარტო ერთი დღის განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გაელიტეს მტრის 5.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მრსპეს და ხელთ იგდეს 110-ზე მეტი ტანკი და ჯავშანმანქანა, 196 ქვემეხი, აქედან 20 თვითმავალი ქვემეხი.

სამამულო ომის ცხარე ბრძოლებში განმტკიცდა და გამოიწრთო წითელი არმიის სახელოვან მეომართა ოსტატობა. ჩვენმა ჯარებმა შეტევითს ოპერაციებში თანამედროვე ომის წარმოების გამოცდილება შეიძინეს. საბჭოთა ოფიცრები და გენერლები უნარიანად ხელმძღვანელობენ თავის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს, წარმატებით ეუფლებიან ჯარების წინამძღოლობის ხელოვნებას. გამარჯვების ურყევი რწმენით მამაცი საბჭოთა მეომრები მარჯვედ, შეუპოვრად, და გაბედულად სძლევენ ყველა დაბრკოლებას, სტეხენ მტრის წინაალმდეგობას. მისი გამაგრებული ზღუდეებიდან მიერეკებიან მოწინააღმდეგეს, უდიდეს ზარალს აყენებენ მას და აიძულებენ უკან დახიოს, ზოგჯერ კი კიდევაც გაიქცეს.

წითელი არმიის ყველა მეომარი ამჟამად გამსჭვალულია ერთი მისწრაფებით: დაუნდობლად ურტყას და მისდიოს მტერს, ერთი წუთის მოსვენებაც არ მისცეს მას. გასული წლის 7 ნოემბერს უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა ბრძანა: **„მთელმა წითელმა არმიამ გაბედულად და გადაჭრით ამხსნიოს მტრის თავდაცვა, დღედაღამ სდიოს მტერს, არ მისცეს მას საშუალება გამაგრდეს შუალედ ზღუდეებზე, ოსტატური და გაბედული მანევრით გადასჭრას მტრის კომუნიკაციები, გარს შემოერტყას მის ჯარებს და დააქუცმაცოს ისინი, მოსპოს და ხელში ჩაიგდოს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა და ტექნიკა“.**

სტალინის სიტყვებში მოცემულია წითელი არმიის ყველა გენერლის, ოფიცრისა და მებრძოლის სამოქმედო პროგრამა. მიჰყვებიან რა სტალინის მითითებებს, ჩვენი გმირული ჯარები ზედიზედ აგემებენ მტერს გამანადგურებელ დარტყმას, ურტყამენ მას ყველგან — მთელი ფრონტის ასპარეზზე იქნება ეს, თუ ერთი ოცეულის უბანზე.

ყოველ სამხედრო ოპერაციას ძირითადად მხედველობაში აქვს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურება. სწორედ ამიტომ ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მტრისათვის უკანდასახევი გზების გადაჭრას, მის ცალკეულ ნაწილთა შორის კავშირის მოშლას, შემდეგ მათს იზოლირებას და მოსპობას. სტალინგრადის კლასიკური ოპერაციის შემდეგ გერმანელებს ისე ეშინიათ გარშემორტყმის, როგორც ეშმაკს საკმეველისა. ყოველი საბჭოთა მეთაური უნდა ცდილობდეს, რომ ოსტატური მანევრით შემოუტიროს გერმანელ დამპყრობთ სასიკეთილო რკალი, მოსპოს და ხელში ჩაიგდოს მტრის ცოცხალი ძალა და ტექნიკა.

ამ უკანასკნელი დღეების ომის ქრონიკა იძლევა ამ კლასიკური სამხედრო წესის წარმატებითი და ეფექტური გამოყენების ჭკუის სასწავლ მაგალითებს. მტრისათვის მოულოდნელად გადალახეს რა მდინარე სლუჩი, ჩვენი სატანკო ნაწილები მიადგნენ ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკის. ტანკისტები გარს შემოერტყნენ ამ ქალაქის მცველ გარნიზონს და იმ ქვეითებთან ერთად, რომლებიც ამასობაში მივიდნენ, ბრძოლა გამართეს უშუალოდ ქალაქის მისადგომებზე, შემდეგ კი ქუჩებშიც. მტერი ამაოდ ცდილობდა თავი დაეღწია შემოჭერილი მარყუჟისათვის. მტრის ნაწილები სასტიკად დამარცხდნენ, ხოლო დემორალიზებულმა გარნიზონის ნაშთებმა კაპიტულაცია მოახდინეს. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა; დავლაშია დიდძალი ქვემეხი, ავტომანქანები, საწყობები სამხედრო ქონებიანად.

ომის მსვლელობაში საბჭოთა მეომრებმა უდიდესი გამოცდილება შეიძინეს და ისწავლეს მტრის ჩაყენება ბრძოლის არახელსაყრელ პირობებში, მისთვის თავისი ნებასურვილის კარნახი და საბჭოთა სარდლობის გეგმების ბოლომდე განხორციელება. სდევნიან რა უკანდახეულ ფაშისტებს, საბჭოთა ოფიცრები განუწყვეტლივ უნდა მიერეკებოდნენ მოწინააღმდეგეს მანამდე, სანამ საქმე არ გათავდება მტრის დაჯგუფების გაელეტით ან დატყვევებით.

ინიციატივა, სისწრაფე, გაბედულობა — აი, რა ახასიათებს და უნდა ახასიათებდეს შემტევი საბჭოთა ჯარების სულისკვეთებას. ვითარების გარკვეულსა და ზუსტ აწან-დაწონას, სწორი გადაწყვეტილების არჩევას და შექმნილი ვარემოების დაუყოვნებლივ გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დიდი რუსი სარდალი სუვოროვი ტყუილად როდი იძლეოდა შემდეგს რჩევას ერთ თავის დაოგებების დროს: „ყოველი ბედის მბრძანებელი, რადგან ერთი წუთი სწყვეტს გამარჯვებას; დაიმორჩილე ეს წუთი კეისრის სისწრაფით, კეისრისა, რომელსაც ასე კარგად ემარჯვებოდა მტრებზე მოულოდნელად თავდასხმა, დღისით, მზისთავე კი, მათი შემოვლა და კვეთება იქ, სადაც თვითონ სურდა და მაშინ, როცა თვითონ სურდა“.

სამშობლომ, საბჭოთა ხალხმა მისცეს და აძლევენ თავიანთ შვილებს საუცხოო იარაღს. მძლავრ შეუწყვეტელ ნაკადად მიედინება ფრონტისაკენ თვითმფრინავები და ტანკები, თვითმავალი არტილერია, ზარბაზნები და ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები და ავტომატები, საომარი მასალები. საჭიროა არა მარტო უკლებლივ გამოვიყენოთ ყოველი გვარეობის იარაღის შესაძლებლობანი, არამედ მარჯვედაც შევაწამოთ მათი ცეცხლი ბრძოლის ველზე, რაც ბევრად გაადიდებს თითოეული მათგანის ეფექტიანობას. ყველა გვარეობის ჯარების ასეთი ოსტატური თანამოქმედების და მარჯვე მანევრის მაგალითი შეიძლება იყოს ბრძოლა კიროვოგრადისათვის, რომელიც დამთავრდა გერმანელთა დაჯგუფების სრული განადგურებით და ქალაქის აღებით.

ფრონტზე ჩვენ მიერ მიღწეული წარმატებები დიდი და მრავალმთქმელია. გამარჯვება გვფარავს ჩვენ თავისი დროშებით. შაგრამ საბჭოთა ადამიანებს არა სჩვევიათ თვითდამშვიდება. ამხანაგი სტალინი მუდამ აფრთხილებს საბჭოთა ადამიანებს თვითდამშვიდებისაგან, დაუდევრობისაგან, ჯერ კიდევ მოსალოდნელი ბრძოლის სიძნელეთა შეუფასებლობისაგან. ჩვენ ვიცით, რომ მტერი განსაკუთრებული სიმძაფრით იბრძვის ყოველ მეტრ მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიისათვის, გრძნობს რა ჩვენს მიწა-წყალზე ჩადენილი მთელი თავისი საზარელი ბოროტმოქმედებისათვის მომავალი გარდუვალი შურისგების მოახლოებას.

მთელი საბჭოთა ხალხი, რომელსაც ალაფრთოვანებს და ხელმძღვანელობს საყვარელი ბელადი და მხედართმთავარი — დიდი **სტალინი**, თავდადებული შრომით ეწყობს ხელს მამაცი წითელი არმიის წარმატებითს შეტევითს ბრძოლებს. სამშობლო ზურგის მშრომელთა და თავის მეომართაგან მოითხოვს დაუღალავად იარონ წინ და წინ. სამშობლო თავის შვილებს უბრძანებს დაუნდობლად ურტყან და სდიონ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს, ურტყან ყველა სახის იარაღით, ურტყან სასიკვდილოდ, არ მისცენ მათ არც დასვენების, არც სულის მოთქმის საშუალება, არ მოასვენონ მტერი არც დღისით, არც ღამით.

ლენინ-სტალინის დროშით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის გამარჯვებისაკენ. იგი დაძახაკს მთელ თავის ძალონეს, რათა საბოლოოდ გაანადგუროს საზიზღარი მტერი, რათა მოაახლოოს ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების ნათელი ჟამი.

სირ-დარია სავსებით გადაშენებულია ახალ ქალაქოგში

6 იანვარს ფარხადის ჰესის მშენებლებმა გადაბა 5 დიდი ადრე დაამთავრეს სირ-დარიის ძველი ალაპატის დგუბები მდინარის ზღუდეში იყარეს 20 ათასამდე კუბური მეტრი მტვერი. ეს ნარეკი შეგუბებას ლერის წყაროში 350-420 კუბური მეტრი წყალი ადიოდა. სირ-დარია ეკვე მაგრად არის გადალობილი. ქვის ქედი მდინარის მთელ სიგანეზე წყლის ზედაპირს ასცდა. ამიერიდან სირ-დარია მიმდინარეობს საგუბრის წყალსაშვები ნაწილის თავისუფალ ალაბატებში. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 იანვრის ოპერაციული ცნობა

11 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა, ქალაქ სარნის მიმართულებით გადალახეს მდინარე სლუჩი და დაიკავეს ქალაქ სარნის ჩრდილოეთით რკინიგზის სადგური სტშელსკი და ქალაქის წამხრეთით—რკინიგზის სადგური ნემოვიჩი.

ნოვოგრად-ვოლინსკის წამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრი იარუნი, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კურმანი, კოლოდენკა, რადულინი, ბეროზოვლი, სვინიოხინი, ჟარი, პონინკა, ჟელობნოე, მოკროე, დუბროვკა, ბურტინი და რკინიგზის სადგურები ოკონი, კოლოდენკა, რადულინი.

ბერდიჩევის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა სძლიეს მტრის წინააღმდეგობა და კონტრიერიშები და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის ავრატინი, კირეევკა, სტეტკოვცი, ოლოდჩი, ბურკოვცი, კრასნოპოლი, ჟერებკი, პოგორელოე, ლისტოპადოვკა.

ბელაია ცერკოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

კიროვოგრადის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა სხვლელობაშიც განდევნეს მოწინააღმდეგე რამდენიმე დასახლებული პუნქტიანა. დაზუსტებული ცნობებით, კიროვოგრადის რაიონში 5-დან 8 იანვრამდე ჩათვლით წარმოებული ბრძოლების განმავლობაში ჩვენი ჯარების მიერ მოსპობილია: 293 ტანკი, 296 სხვადასხვა ქვემეხი, 40 თვითმავალი ქვემეხი, 121 ნაღმსატყორცნი, 445 ტყვიამფრქვევი, 94 ჯავშნიანი მანქანა, 978 ავტომანქანა.

მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით 15 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი ნადავლი: 150 ტანკი, 188 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 242 ნაღმსატყორცნი, 429 ტყვიამფრქვევი, 25 ჯავშნიანი მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 2.000 ავტომანქანა, 19 საწყობი ხაომარ მასალიანად, სურსათიანად და სხვა სამხედრო ქონებიანად.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

10 იანვრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაიზიანეს და მოსპეს გერმანელთა 70 ტანკი. სამაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 78 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ქალაქ სარნის მიმართულებით მოქმედებენ, გადალახეს მდინარე სლუჩი, ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს რკინიგზის სადგური სტშელკი (ქალ. სარნის ჩრდილოეთით). მტრის წინააღმდეგობა ამ რაიონში გატეხილ იქნა წითელი არმიის მებრძოლთა და როვნოს პარტიზანთა ერთობლივი მოქმედებით. ქალაქ სარნის საზრისთან ჩვენმა მებრძოლებმა მძაფრი იერიშით დაიკავეს რკინიგზის სადგური ნემოვიჩი ამ სადგურებისათვის ბრძოლებში მოწინააღმდეგემ 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით.

* * *

ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით 6 შენაერთის ნაწილებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა, წინ წაწიეს და დაიკავეს ჟიტომირის ოლქის რაიონული ცენტრი იარუნი და 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ერთ რაიონში, ტყეში, საბჭოთა მებრძოლები გარს შემოერტყნენ გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ჯგუფს, ჩვენმა ქვეგანაყოფებმა თანდათან შეაკრეს რკალი და მთლიანად გაანადგურეს მოწინააღმდეგის ეს ჯგუფი. გერმანელებს წაგართვეთ 6 ტანკი, 7 ქვემეხი, 19 ნაღმსატყორცნი, 35 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა. მოწინააღმდეგემ 400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით. გერმანელ და უნგრელ ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი რიცხვი ტყეში დაგვნებდა. ჩვენი სხვა შენაერთის ნაწილები დაედევნენ მოწინააღმდეგეს, მოსპეს ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი და ხელთ იგდეს დიდი ალალი სარმარ მასალიანად.

* * *

ქალაქ ბელაია ცერკოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. სმელა-ზრასპონოვკის რკინიგზის რაიონში მოქმედმა საბჭოთა მოძრაგმა ნაწილებმა მთელი რიგი დარტყმები აგემეს მოწინააღმდეგის მოახლეულებულ რეზერვებს. ჩვენი მებრძოლები მოულოდნელად წაადგნენ თავს მტერს და მოსპეს გერმანელთა 8 სარკინიგზო ეშელონი (ქალ. სარნის ჩრდილოეთით). მტრის წინააღმდეგობა ამ რაიონში გატეხილ იქნა წითელი არმიის მებრძოლთა და როვნოს პარტიზანთა ერთობლივი მოქმედებით. ქალაქ სარნის საზრისთან ჩვენმა მებრძოლებმა მძაფრი იერიშით დაიკავეს რკინიგზის სადგური ნემოვიჩი ამ სადგურებისათვის ბრძოლებში მოწინააღმდეგემ 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით.

* * *

ჩვენმა ჯარებმა, ბრძოლებიც ქალაქ სარნის მიმართულებით მოქმედებენ, გადალახეს მდინარე სლუჩი, ბრძოლებით წაიწიეს წინ და დაიკავეს რკინიგზის სადგური სტშელკი (ქალ. სარნის ჩრდილოეთით), მტრის წინააღმდეგობა ამ რაიონში გატეხილ იქნა წითელი არმიის მებრძოლთა და როვნოს პარტიზანთა ერთობლივი მოქმედებით. ქალაქ სარნის საზრისთან ჩვენმა მებრძოლებმა მძაფრი იერიშით დაიკავეს რკინიგზის სადგური ნემოვიჩი ამ სადგურებისათვის ბრძოლებში მოწინააღმდეგემ 800-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით.

* * *

კიროვოგრადის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ოსტატური მანევრით მოეჭიდნენ მოწინააღმდეგის ფლანგებში, რომელიც ხელსაყრელ პოზიციებს იკავებდა. საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა სამი მხრიდან დაარტყეს მტრის და ხანმოკლე ბრძოლის შედეგად უსუფაქიცეს გერმანელები. ჩვენი ნაწილები დაედევნენ მოწინააღმდეგეს, დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდეს გერმანელთა სამი ვარგისი ტანკი, 9 ჯავშანტრანსპორტიორი, რამდენიმე საარტილერიო ბატარია, საომარი მასალის ორი საწყობი და საწყობი საინჟინრო ქონებიანად. დღის განმავლობაში ყველა უბანზე ჩვენმა ჯარებმა დაიზიანეს და მოსპეს გერმანელთა 40-მდე ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

* * *

4 იანვარს საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოქმედ ესპანელთა ლეგიონის მე-2 ბატალიონის ტყვედ წამოყვანილ ჯარისკაც ხესუს პერეს სანჩესის ჩვენება. ჰიტლერის ესპანელი ხელშემწყობნი ამტკიცებდნენ: ესპანელთა ყველა ჯარი, რომლებიც რუსეთში გერმანელთა მხარეზე იბრძოდნენ, გაწვეულია ესპანეთშია. თვით ფაქტი ვოლხოვის ფრონტზე ესპანელი ჯარისკაცის დატყვევებისა ამხილებდა ესპანეთის მმართველი ხროვის უხეშ სიცრუეს.

1944 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ჩვენმა მებრძოლებმა ტყვედ ჩაიგდეს ესპანელთა ლეგიონის ჯარისკაცების კიდევ ერთი ჯგუფი. ტყვეებს შორის არიან ესპანელთა ლეგიონის მეთაურის შოფერი ოტერო გარსია ერნანდესი, ესპანელთა ლეგიონის 1-ლი ბატალიონის შტაბის ასეულის ჯარისკაცები ლეო პოლდ სანტიაგო ინოხოსა და ხოსე ანს პერედო. ტყვეებმა დაადასტურეს, რომ ესპანელთა ლეგიონი მოწინავე პოზიციებზე იმყოფება და რომ ისინი ყველანი ჩარიცხულ იქნენ ამ ლეგიონში მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ. ტყვედ წამოყვანილმა ესპანელმა ჯარისკაცმა ლეოპოლდ სანტიაგო ინოხოსამ განაცხადა: „1943 წლის აგვისტოს დამლევს მე, სამარშო ბატალიონის შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჩამოვედი. მაშინ ესპანელთა 250-ე დივიზია ლენინგრადთან იმყოფებოდა. ჯარისკაცები აშკარად აცხადებდნენ: არა გვსურს გერმანიის ინტერესებისათვის ვიომოთო. ბევრი ჯარისკაცი ფეხტერტორობდა ან თავს ისახჩრიდა, რომ ჰოსპიტალში მოხვედრილიყო. შემოდგომაზე დივიზია ზურგში წაიყვანეს და მისი შემადგენლობიდან ესპანელთა ლეგიონი შეადგინეს. დეკემბრის შუა რიცხვებში ლეგიონის მე-2 ბატალიონი ფრონტის ვოლხოვის უბანზე გაგზავნა. მის შემდეგ მოწინავე პოზიციებზე დაყენებულ იქნა ჩვენი 1-ლი ბატალიონიც, რომელმაც გერმანელთა ნაწილი შესცვალა“.

ტყვედ წამოყვანილმა ესპანელმა ჯარისკაცმა ხოსე ბასს პერედომ განაცხადა: „მე ფრონტზე 1943 წლის სექტემბერში ჩამოვედი. ვიცი, რომ სექტემბრის დამლევს და ოქტომბერში ესპანეთიდან კიდევ ორი სამარშო ბატალიონი ჩამოვიდა. ლეგიონს 250-ე დივიზიის ჯარისკაცებისაგან ადგენდნენ. თავდაპირველად წინადადება მოგვცეს, რომ ლეგიონში ნებაყოფლობით შევსულიყავით, მაგრამ მოხალისე ძალიან ცოტა აღმოჩნდა. მაშინ ოფიცრებმა გამოაცხადეს, რომ ჩვენ ჩარიცხულნი ვართ ლეგიონის შემადგენლობაში“

ფაქტების სრული სიცხადის მიუხედავად, მადრიდში ცადეს უარეყოთ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ამა წლის 4 იანვრის ცნობა. ესპანელმა ჰიტლერელებმა ჯერ განაცხადეს, ესპანეთია „ცისფერი დივიზიის“ უკანასკნელი კონტინგენტები სამშობლოში დაბრუნდნენო, მაგრამ ფაქტები ჯიუტი რამ არის. ესპანელთა ლეგიონს ხალთაში ვერ დამალავ. ესპანეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც დანაშაულზე წაასწრეს, ფრთხილად იწყეს იმის აღიარება, რომ ესპანელ ჯარისკაცთა ნაწილი ეითომ ნებაყოფლობით დარჩა აღმოსავლეთის ფრონტზე.

ჰიტლერის ესპანელ ხელშემწყობთა უბადრუკი ხრიკები ვერავის მოატყუებს. ისინი რუსეთიდან იწვევენ დემორალიზებულ და ბრძოლისუნარიანობაკლებულ ჯარისკაცებს და ამავე დროს მათ ნაცვლად ჰგზავნიან ახალ და ახალ სამარშო ბატალიონებს. ახლა უდავოდ დამტკიცებულია, რომ ესპანელთა ნაწილები, რაც უნდა უწოდონ მათ, წინააღდეგობრივად იბრძვიან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელთა მხარეზე. ესპანელ თვალთმაქცებს სურთ უმანკოებაც შეინარჩუნონ და კაპიტალიც შეიძინონ. ისინი, ნეიტრალიტეტის ნიღაბს ამოფარებულნი, კვლავ ერთგულად ემსახურებიან ჰიტლერს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვლადიმერ გრიგოლის-ძე ზახაროვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდების მინიჭების შესახებ

მუსიკალური შემოქმედების დარგში ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის და რუსული ხალხური სიმღერის პროპაგანდის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის კომპოზიტორს, პიანისტის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელს ვლადიმერ გრიგოლის-ძე ზახაროვს მიენიჭოს სსრ კავშირის **სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 11 იანვარი.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

პეტრე მიხეილის-ძე კაზმინისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არბიტრის წოდების მინიჭების შესახებ

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

რუსული ხალხური სიმღერის შეგროვებისა და პროპაგანდის საქმეში ღირსშესანიშნავი დამსახურებისათვის პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელს პეტრე მიხეილის-ძე კაზმინს მიენიჭოს რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება წითელი არმიის გენერლების, ოფიცრთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა. წ. 10 იანვრის ბრძანებულებით გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის წითელი არმიის გენერლების, ოფიცრთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის დიდ ჯგუფს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სულ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 382 გენერალს, ოფიცერს, სერჟანტსა და რიგითს. (საკდესი).

№ 79 „სოიუზკინოჟურნალი“

გამოვიდა ეკრანებისათვის მორიგი № 79 „სოიუზკინოჟურნალი“. ჟურნალში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ ედ. ბენეშის ყოფნას მოსკოვში. (საკდესი).

10 იანვარი.

უკანასკნელი ცნობები

რუზველტის მიმართვა კონგრესისადმი

ლონდონი, 11 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის საგანგებო ვაშინგტონიდან იუწყება, პრეზიდენტმა რუზველტმა კონგრესს გაუგზავნა ყოველწლიური შიმართვა, რომელშიც ის მოუწოდებს კონგრესს მიიღოს კანონი ნაციონალური ბეგარის შესახებ.

ჯიროვერეები გაუსწორდნენ თავიანთ ყოფილ თანამზრახველებს

ჟენევა, 11 იანვარი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ბერლინში გამოაცხადეს, რომ გუშინ ვერონაში (ჩრდილოეთ იტალია) დამთავრდა გასამართლება ყოფილი ეგრეთწოდებული „დიდი ფაშისტური საბჭოს“ 19 წევრისა, რომლებმაც ამ ფაშისტური ორგანოს იულისის სხდომაზე 1943 მისცეს მუსოლინის წინააღმდეგ მიმართული რეზოლუციას. „დიდი ფაშისტური საბჭოს“ შემადგენლობაში შეიყარა ამ „ოპოზიციის“ 13 წევრი [illegible] ზეზე მიიმალა და დიუსწრებლად [illegible] ... სასამართლომ ... დასჯა მიუსაჯა 18 ბრალდებულს, მათ შორის ჩიანოს (მუსოლინის სიძეს), დე ბონოს, ბარინელის, პარესისა და გოტარდის, რომლებიც გასამართლებას ეს[illegible]ნდნენ. ერთ ბრალდებულს — ჩიანეტს 30 წლის პატიმრობა მიესაჯა.

საბჭოთა ბელორუსიისათვის ბრძოლებში

მოსკოვი არმია, 10 იანვარი (საკდესის სპეც. კორ.). გათენების წინ პირველი ზალპები გაისმა. ზარბაზნების გრიალი ყოველწუთობით ძლიერდებოდა და მალე ისეთ ძალას მიაღწია, რომ გეგონებოდა, ირგვლივ ყველაფერი ზანზარებს და სკდებაო. ნაწილის მეთაური ტრუხანოვი ვეებერთელა ფიქვის უკან სათვალთვალო პუნქტზე იდგა და კარგად ხედავდა, თუ როგორ ინგრეოდა გერმანელთა თავდაცვა. ყუმბარები მიზანს ზუსტად ხვდებოდა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო იმის დანახვა, თუ როგორ სკდებოდა მძიმე ყუმბარები, ანუ, როგორც მათ ჩვენი მებრძოლები უწოდებენ, „შოთები“, დაეცემოდა ასეთი „შოთი“ და ჰაერში უზარმაზარ სვეტად აეარდებოდა შავი კვამლი, იფანტებოდა მორები.

არტილერისტების მუშაობით აღტაცებული მეთაური არაერთხელ იმეორებდა:

— დიდებულია! შესანიშნავია! ყოჩაღ, არტილერისტებო!

ამ აზრს იზიარებდნენ მებრძოლნიც, რომელნიც იერიშის სიგნალს ელოდებოდნენ.

ქვემეხების სროლა უეცრად შეწყდა. და, თითქოს კვერთხის ერთი დაკვრვით, მანამდე ვითომ მკვდარი სანგრებიდან მძლავრ ნიაღვრად დაიძრა ცოცხალი ტალღა. წელში გამართულნი, „ურას“ ძახილით, შაშხანა-ავტომატმომარჯვებულნი დაიძრნენ წინ საბჭოთა ქვეითები. აქა-იქ გაკაცხლდა მტრის საცეცხლე წერტილი. სიღრმიდან ზუილითა და სტვენით მოჰქროდა ნაღმები და ყუმბარები. ისინი ყველგან სკდებოდნენ. მაგრამ არც ერთი ჩვენი მებრძოლთაგანი არ ჩამორჩენილა, არ გაწოლილა.

თითოეულ ამ მეომარს ხალხის ბევრი უბედურება უნახავს. ჯერ კიდევ გუშინწინ მათ რამდენიმე ათეული კილომეტრი გაიარეს, ფრონტის შიწინავე ხაზისაკენ რომ მიემართებოდნენ. აქ ოდესღაც იყო მხიარული და კარგი ბელორუსული ქალაქი, მის ირგვლივ ჰყვაოდნენ კოლმეურნეობანი. აქ ცხოვრობდნენ და შუშაობდნენ წარჩინებული მეცნიერნი, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი, სახელგანთქმული მეცნიერნი. ყველაფერი, რაც კი საჭიროა ადამიანის ბედნიერი, შეძლებული ცხოვრებისათვის, მოიპოვებოდა ამ ადგილებში. ახლა კი! იქ, სადაც კოლმეურნეობები იყო, ახლა ნამქერით დაფარული უდაბური ადგილებია. მეომრები ხედავდნენ სხვრეოლებს, ბავშვთა გვამებს ტანს

კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულნი არიან საბჭოთა კავშირის ორდენებით. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ) ბ. ჯგუბურია — დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, მ. ორაგველიძე — დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ვ. ჯაბუა — დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, თ. ტარუაშვილი — დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ი. ტყეშელაშვილი—დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მუხტარ ჟურბანოვი — დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

საქართველოს კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები მთავრობის მაღალ ჯილდოს უპასუხებენ ბრძოლით სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

მზრუნველობით გამოვზრდით მაღალ კვალიფიციურ კადრებს

ქართველი ხალხი ამაყობს ჩვენი მთელი სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებით, რომლებიც დაჯილდოებული არიან მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. დიდ სიხარულს განიცდის ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი, რომლის მოწინავე ადამიანები დაჯილდოებული არიან მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი.

ინსტიტუტის პედაგოგიური კოლექტივი დაუღალავად იბრძვის მაღალი კვალიფიციური კადრების აღზრდისათვის. ჩვენ ამის ყველა პირობა გვაქვს შექმნილი პარტიისა და ხელისუფლების მიერ. ინსტიტუტს დღემდე გაშოშებული ჰყავს სოფლის მეურნეობის 6.300-ზე მეტი სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, რომელთა ნაწილი თავდადებით იბრძვის ფრონტზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ნაწილი კი ზურგში საკოლმეურნეო მეწველს, დასტრიალებს თავს და ყოველმხრივ ეხმარება კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობებს მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. ამჟამად ჩვენს ინსტიტუტში 1.000-ზე მეტი სტუდენტი ეუფლება უმაღლეს განათლებას და ზურგში სწავლასთან ერთად ენერგიულად მუშაობს ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისათვის. ინსტიტუტის პედაგოგიური პერსონალის და სტუდენტების ძალებით გასულ წელს შეკეთებულ იქნა 200-ზე მეტი ტრაქტორი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. სტუდენტების დახმარებით საკოლმეურნეო მინდვრებზე მოწყალი აღებულია 6.500 ჰექტარზე, საკუთარი ძალებით დავამონტაჟეთ ახალი ტიპის პარტიული კულტივატორი და სამკელი მანქანა. ინსტიტუტთან მოწყობილ კურსებზე გადამზადებულია 180 ტრაქტორისტი და კოლმეურნეობის ბუხჰალტერი. ინსტიტუტის მეცნიერების ძალებით ჩატარებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 250-ზედ ლექცია-მოხსენება. სისტემატურად ვატარებთ კონსულტაციას სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული ვარ შრომის წითელი დროშის ორდენით. ამ მაღალი ჯილდოს პასუხად კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიმუშავებ, რათა ჩვენ საყვარელ სამშობლოს მივცეთ სოფლის მეურნეობის მაღალი კვალიფიციური კადრები. ზურგში დაუღალავი შრომით მთელ ძალებს დავდებავთ საზიზღარი მტრის სრული განადგურების დასაჩქარებლად.

ბ. იაკობაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი.

ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობაში

მახარაძე, 10 იანვარი. სამამულო ომის დღეებში სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობა სულ უფრო და უფრო მეტ დახმარებას უწევდა დაჭეს ფრონტს.

განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია კოლმეურნეობამ 1943 წელს, მან გეგმის გადამეტებით ჩააბარა სახელმწიფოს 122 ტონა ჩაის ფოთოლი. ბრწყინვალედ გაიზარდა ერთწლიანი კულტურების მოსავალი. მარტო განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად ამ კოლმეურნეობის წევრებმა გაგზავნეს 15-ზედ ტონა მარცვლეული, ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარების დაგალება 30 პროცენტის გადამეტებით შესრულდა.

კოლმეურნეობამ ღირსეულად შეასრულა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ყველა დავალება. კოლმეურნეებმა პირადი მარაგიდან მიჰყიდეს სახელმწიფოს 200 ფუთი სიმინდი. 1943 წელს კოლმეურნეებმა სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნის“ ანაგებად შეიტანეს 1.000.000 მანეთი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ორაგველიძემ შეიტანა 50.000 მანეთი, რისთვისაც მადლობა მიიღო ამხანაგ სტალინისაგან.

ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. მ. ორაგველიძის ლენინის ორდენით დაჯილდოების ამბავს. კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას, კიდევ უფრო მეტი დახმარება გაუწიოს შემტევ წითელ არმიას.

— ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ორაგველიძის ლენინის ორდენით დაჯილდოება, — განაცხადა წარჩინებულმა ბრიგადირმა პ. ჯაბუამ, — ჩვენი მუშაობის მაღალი შეფასებაც არის. იგი გვავალებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა ფრონტის დასახმარებლად. (საქდესი).

ხაჯერ ქაქაბაძე — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

გავაძლიეროთ დახმარება ფრონტისადმი

ხაშური, 10 იანვარი. უდიდესი სიხარულით გაიგეს ხაშურის რაიონის მშრომელებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების ამბავი. ქვიშეთის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები მეიერხბენ მტინგზე. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. დარსაველიძემ თქვა, რომ მთავრობამ ქვიშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ლონდაძე დაჯილდოვა ძმედლით „შრომითი მამაცობისათვის“. დამსწრენი გულთბილად მოესალმნენ ამ სასიხარულო ცნობას.

მიტინგზე გამოსულმა ამხ. ლონდაძემ განაცხადა:

— ჩვენმა კოლმეურნეობამ უხვ მოსავალს მიაღწია გასულ წელს. თითო ჰექტარზე ჩვენ საშუალოდ ავიღეთ 13 ცენტნერი სიმინდი, 9 ცენტნერი ხორბალი, 60 ცენტნერი ყურძენი, 170 ცენტნერი კომბოსტო და სხვ. ვადამდე შესრულა რა ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, ჩვენმა კოლმეურნეობამ ავანსად ჩააბარა სახელმწიფოს 35 ცენტნერი პური, 12 ცენტნერი ხორცი. ასობით ფუთი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი ჩააბარა ჩვენმა კოლმეურნეობამ წითელი არმიის ფონდს, აგრეთვე ფრონტელთა ოჯახებს დამხმარე ფონდს. პირადი მარაგიდან კოლმეურნეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 700-ზე მეტი ფუთი პური და ბოსტნეული.

მაღალი ჯილდოს პასუხად, რომელიც საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ მიიღო, ჩვენ ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ დახმარება ფრონტისადმი. (საქდესი).

მივცემთ ჩვენს ქვეყანას 80 მილიონ ციტრუსს

მთავრობის მაღალი ჯილდოები მიიღეს საქართველოს ციტრუსოვანთა მეურნეობის ადამიანებმა. ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარების ადგილებზე ამ საქმეში ბევრი ენერგიულად შეუდგნენ სასუქის დამზადებას და ციტრუსოვანთა პლანტაციებში შეტანას, — განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარის დროს ტრესტის დირექტორმა ა. ბერიძემ, რომელიც დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. — მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებულნი მთელ ძალ-ღონეს მოვახმართ ზურგში თავდადებულ შრომას, მივცემთ 1944 წელს ჩვენს ქვეყანას სულ ცოტა 80 მილიონ ცალ ციტრუსს. (საქდესი).

მივცემთ ქვეყანას მეცხოველეობის მეგ პროდუქტებს

სამტრედიის რაიონმა გადამეტებით შეასრულა მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმა. კოლმეურნეობებში რქიანი საქონელი გეგმით უნდა იყოს 9.180 სული, ფაქტიურად არის 9.250 სული. მათ შორის ძროხა გეგმით გათვალისწინებულია 1.130 სული, არის 1.176 სული. მუშა-საქონლის განვითარების გეგმა შესრულებულია მთლიანად. წარმატებით არის შესრულებული აგრეთვე ცხვრისა და თხის, ცხენისა და ფრინველის მოშენების გეგმები.

1942 წელთან შედარებით 1943 წელს კოლმეურნეობებში ძროხების სულადობა გაიზარდა 9,1 პროცენტით, მუშა-ხარებისა — 8 პროც., დედა-ღორებისა — 43 პროც., ცხვრისა და თხის — 33,2 პროც., ცხენის — 10,8 პროც., ბოზრდილი ფრინველისა — 15,1 პროც., ფუტკრის ოჯახებისა—10 პროცენტით. სერიოზული ყურადღება ექცევა მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნას. ზამთრისათვის დაგროვებულია 147.230 ცენტნერი უხეში საკვები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 147.000 ცენტნერისა. საკვების დასილოსების გეგმა (2.150 ტონა) შესრულებულია გადაჭარბებით.

რაიონში არსებული 47 კოლმეურნეობიდან ყველას აქვს მეძროხეობის, მეღორეობისა და მეფუტკრეობის ფერმები, 13 კოლმეურნეობას კი — მეთხეობის ფერმაც. 47 კოლმეურნეობიდან 14 კოლმეურნეობას აქვს 5-5 სახის ფერმა, ხოლო 33 კოლმეურნეობას — 4-4-სახის ფერმა მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად კარგად იმუშავეს: სამტრედიის მე-17 პარტყრილობის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. კოხრეიძე), ღანირის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. კირთაძე), ჯიხაიშის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ხაჟალია), გომნატეხების ცხაკაიას სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ჩაჩუა) კოლმეურნეობებმა.

დაბლა გომის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის შემოსავალი 1943 წლის 11 თვის განმავლობაში შეადგენდა 559.956 მანეთს. ღანირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის შემოსავალი 250.000 მანეთს უდრის. ამ კოლმეურნეობამ მარტო მეღორეობიდან მიიღო წელს 120.000 მანეთის შემოსავალი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე სამტრედიის პარტრაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მიერ შექმნილი კომისიების საშუალებით შემოწმებულ იქნა რაიონის საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებში გამოზამთრებისათვის მზადების მდგომარეობა. დასახლება მთელი რიგი ღონისძიებანი. ფერმებში გადმოყვანილია კოლმეურნეობათა მიერ დაკონტრაქტებული 108 სული საქონელი, საკვები მიზიდულია საქონლის საზამთრო სადგომებთან.

კარგი მდგომარეობაა საკოლმეურნეო საქონლის ბინებით უზრუნველყოფის საქმეში. 1943 წელს აშენდა ფერმების 9 ახალი სტანდარტული შენობა 750 სული საქონლისათვის. მეცხოველეობის ფერმები დაკომპლექტებული და უზრუნველყოფილია კადრებით.

სამტრედიის რაიონის პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები დაუღალავად იმუშავებენ, რომ მეცხოველეობის მეტი პროდუქცია მისცენ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას.

მ. ნიუნიანიძე

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი.

ბაუერ კაკაბაძე

ბაუერ კაკაბაძე — ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ახალი წარმატებებისაკენ

სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკები დაჯილდოებულნი არიან ორდენებითა და მედლებით. პირადად მე დაჯილდოებული ვარ „საპატიო ნიშნის“ ორდენით. ამ მაღალმა ჯილდომ დიდად აღმაფრთოვანა.

დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნე ქალებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს ფრონტისადმი დახმარებისათვის. მზადნი საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები თავიანთ ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მისცენ ჩვენს ქვეყანასა და გმირ წითელ არმიას საძულველი მტრის სრული განადგურების დაჩქარებისათვის. ახალ განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია საქართველოს რესპუბლიკამ მეცხოველეობის დარგში. ომის დღეებში ადრე უფრო გაუმჯობესდა საქონლის მოვლა, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი საქონლის დაავადების თავიდან ასაცილებლად. მე, როგორც საველტერინარო დარგის სპეციალისტმა, სამამულო ომის დღეებში მთელი ჩემი მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობა წარემართე იქითკენ, რომ გამომენახა ახალი საშუალებანი ხბოების პარატიფით დაავადების წინააღმდეგ. ჩემს მიერ შემუშავებული ბაქტერიოფაგი ამ დაავადების წინააღმდეგ ეფექტიური აღმოჩნდა და იგი ხმარებაშია. 1932 წლიდან ვმუშაობ საქმწესახკომის სისტემაში. მაქვს 16 სხვადასხვა მეცნიერული ნაშრომი ვეტერინარული მედიცინის საკითხებზე.

მთავრობის მაღალმა ჯილდომ ახალი ძალა და ენერგია შემმატა. პირობას ვიძლევი კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით ვიმუშაო სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის, რათა ჩვენმა ქვეყანამ და გმირმა წითელმა არმიამ მეცხოველეობის მეტი პროდუქტები მიიღოს.

ვეტერინარიის დარგში დაუღალავი შრომით ყოველმხრივ დავეხმარები კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად მეცხოველეობის დარგში.

ი. კვესიტაძე

საქმიწსახკომის ვეტსამმართველოს უფროსი, ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი

ჯილდო მაფრთოვანებს

სოფლის მეურნეობაში ვმუშაობ 1924 წლიდან. უშუალო მონაწილე ვარ იმისა, საქართველოს სოფლის მეურნეობა პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის მეოხებით თუ რა უმაგალითო სიმაღლეზე ავიდა. საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისაგან მოითხოვა კიდევ უფრო დაძაბული მუშაობა, რომლის მიზანია მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს კიდევ უფრო მეტი პური, ბოსტნეული, კარტოფილი, მეცხოველეობის პროდუქტები.

ცნობა იმის შესახებ, რომ მე დაჯილდოებული ვარ მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ სასიხარულოა ჩემს ცხოვრებაში. საბჭოთა მთავრობის ჯილდო მაფრთოვანებს ახალი შრომითი სამგზნეობისათვის. გკისრულობ ვალდებულებას კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშაო, მთელი ძალ-ღონე, ცოდნა და მრავალი წლის გამოცდილება მოვახმარო საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს, ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურებისა და წმიდა საბჭოთა ძიწა-წყლის გერმანელი ურწმუნოებისაგან მთლიანად განთავისუფლების საქმეს.

ა. ქანთარია

საქართველოს სსრ მიწსახკომის შრომის ორგანიზაციის განყოფილების გამგე.

ვიმუშავებთ გაორკეცებული ენერგიით

საგარეჯო („კომუნისტის“ კორ.). საგარეჯოს ენგელსის სახელობის კოლმეურნეობას წევრები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას — კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ბუზარიაშვილის მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ 1940 წელთან შედარებით 1943 წელს 96 ჰექტარით გაადიდა სათესი ფართობი და ჰექტარზე მიიღო ერთნახევარი ცენტნერით მეტი პარცელეული, ვიდრე 1940 წელს. სახელმწიფოს ჩააბარა 8 ტონით მეტი მარცვლეული 1940 წელთან შედარებით. კოლმეურნეობამ და კოლმეურნეობის წევრებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 4 ტონაზე მეტი მარცვლეული. კოლმეურნეობამ გადამეტებით შეასრულა აგრეთვე მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა.

სასიხარულო ცნობას მიღებასთან დაკავშირებით შემდგარ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეობის წევრები ქურხული, ებბატაშვილი, დემეტრაშვილი და სხვ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ბუზარიაშვილმა განაცხადა: — ცნობამ ჩემი დაჯილდოების შესახებ უსაზღვროდ გამახარა. მადლობა ჩვენს მთავრობას. სიტყვას ვიძლევი კიდევ უფრო გაორკეცებო მუშაობა და არაჯერი დავიშურო. გმირი წითელი არმიის შემდგომი დახმარების გაძლიერებისათვის. სასოფლო-სამეურნეო მინდვრებზე დაუღალავი შრომით მივცემთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს 1944 წლის უხვი მოსავლის მისაღებად.

ალ. ზუკაკიშვილი

მაღალი ჯილდოს პასუხად

ასპინძა („კომუნისტის“ საკ. კორ.). ასპინძის რაიონის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. დაჯილდოებულთა შორის არიან საქ. კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ძეგინაშვილი, სოფ. ნიალის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მილაზ ალიევი, სოფ. აგარის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. სოსან ზაზაძე და სოფ. ქვემო ვარნერის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ისლამ რუფათოღლი.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩატარდა მიტინგები. სოფ. ნიალის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიტინგზე ამხ. ალიევმა, რომელიც დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, განაცხადა: მთავრობის მაღალი ჯილდო მავალებს მთელი ჩემი ენერგიით ვიმუშაო ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის, პირიბას ვაძლევ ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს, რომ 1944 წელს კიდევ უფრო მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მივცემთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს, წარმატებით შეასრულებთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმებს, არ დაიშურებთ ჩვენს ძალასა და ენერგიას წელს უხვი მოსავლის მისაღებად.

სოფ. აგარის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიტინგზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ზაზაძემ ვალდებულება იკისრა, რომ კიდევ უფრო გაზრდიან ფეტხოველეობის პროდუქტიულობას, მზარდ ადამიანებს გადაწყვეტენ შემტევ წითელ არმიას — საძულველი მტრის — გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურების დაჩქარებისათვის. სოფ. ასპინძის კოლმეურნეობის „წითელი მზვინელის“ სტახანოველმა ქალმა მუყაოს თორმოძორვმა განაცხადა: მთავრობის მაღალ ჯილდოს, რომელიც საქართველოს მოწინავე ადამიანებთან ერთად ასპინძის რაიონიდან ოთხმა ამხანაგმა მიიღო, ჩვენ ვუპასუხებთ ახალი წარმატებებით საკოლეურნეო მეხვლეობაში — ენერგიულ ბრძოლებით ფერმებში, 1944 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების წარმატებით შეასრულებთ, უფრო მეტ დახმარებას გავუწევთ გმირ წითელ არმიას ჰიტლერელთა ურდოების დაჩქარებით განადგურების საქმეში.

ასპინძის რაიონის საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები მთავრობის მაღალ ჯილდოს უპასუხებენ დაუღალავი შრომით ფრონტისადმი ყოველმხრივი დახმარების გასაძლიერებლად.

ვ. თამაზაშვილი

მეცნიერი მუშაკები—სოფლის მეურნეობის დასახმარებლად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ყანჩაველმა, რომელიც დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, საქმესის კორესპონდენტს უამბო მისი მეთაურობით არსებული ინსტიტუტის მუშაობაზე სამამულო ომის წლებში.

მეცნიერთა დაცვის ინსტიტუტმა მრავალმხრივ გარდაქმნა თავისი მუშაობა. სამამულო ომის დღეებში ინსტიტუტის მთავარ ამოცანად წარმოადგინს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება, კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებისათვის დახმარების აღმოჩენა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში.

სამამულო ომის განმავლობაში ინსტიტუტის კოლექტივმა დაამუშავა ათზე მეტი მეცნიერული თემა. ინსტიტუტმა დაამუშავა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დაავადებასთან ბრძოლის მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. ომის ჟირველ დღეებიდანვე ინსტიტუტმა თავისი მუშაობის თემატიკაში შეიტანა დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სანიმუშოდ შენახვის მოგვარებაში. სპეციალურმა ბრიგადამ უფროსი მეცნიერი თანაშრომლის, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატის ხაზარაძის მეთაურობით გამოიკვლია უდიდესი ბოსტნეულსაცავები და სასაწყობო შენობები, ჩაატარა კონსულტაციები, ეამოიმუშავა ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ დანაკარგებთან ბრძოლას პროდუქტების შენახვისას.

მთავრობის მაღალი ჯილდოს პასუხად ამხ. ყანჩაველმა, რომელიც ამჟამად მეთაურობს საქართველოს კულტურულ და ველურ მცენარეთა პარაზიტული მიკროფლორის შესწავლისათვის წარმოებულ დიდ მუშაობას, პირობა დასდო მთელი ძალ-ღონე მოახმაროს ამ მუშაობის რაც შეიძლება ჩქარა დამთავრებას. (საქდესი).

აღმავლობის გზით

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა ვადაზე ორი თვით ადრე გადამეტებით შეასრულეს. ამსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 101,6 პროცენტით, ცხენისა — 105,7 პროცენტით, თხისა — 101,3 პროცენტით, ფუტკრისა — 101,8 პროცენტით. რაიონის თითოეულ კოლმეურნეობას აქვს 3-5-მდე სახის ფერმა.

საკოლმეურნეო ფერმები კარგად მოამზადეს ზამთრისათვის, ვადაზე დაამთავრეს ძველი ბინების შეკეთება და ახლის მშენებლობა. საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს და საქონლის საზამთრო სადგომებთან მიზიდეს საკვები. უხეში საკვები დაგროვებულია 197.900 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 154.900 ცენტნერისა. დასილოსებულია 20.110 ცენტნერი საკვები, ნაცვლად 20.000 ცენტნერისა, გეგმის 101 პროცენტი. საკმაო რაოდენობით ვაარნიათ კონცენტრირებული საკვებიც.

მეცხოველეობის განვითარების საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი სოფ. ნოსირის და ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა, სოფ. ეკის რუსთაველის სახელობის, სოფ. ოქტომბრის ლენინის სახელობის, სოფ. უშაფათის სტალინის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ს. კუჭავა

ოლეკმოვი

რუზველტისა და ჩერჩილის ერთობლივი განცხადება გერმანიის წინააღმდეგ ნავებთან ბრძოლის შედეგების შესახებ

ლონდონი, 11 იანვარი (საკდესი). გამოქვეყნდა პრეზიდენტ რუზველტისა და პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის ერთობლივი განცხადება გერმანიის წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის შედეგების შესახებ 1943 წელს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ დეკემბერში ჩაძირული სავაჭრო გემების საერთო ტონაჟი კვლავ უმნიშვნელო აღმოჩნდა.

მთელი 1943 წლის განმავლობაში გერმანიის წყალქვეშა ნავებმა მოახერხეს ჩაეძირათ მათ მიერ 1942 წელს ჩაძირული გემების ტონაჟის სულ 40 პროცენტი. ხოლო გაერთიანებული ერების მიერ 1943 წელს აგებული სავაჭრო გემების ტონაჟმა დაახლოებით ერთი ორად გადააჭარბა იმ გემების ტონაჟს, რომლებიც გადაცემული იყო საექსპლოატაციოდ 1942 წელს. გასულ წელს ჩაძირული ტონაჟის თითქმის ნახევარი დაიღუპა პირველი კვარტალის განმავლობაში, ტონაჟის 27 პროცენტი ჩაძირული იყო მეორე კვარტალში და მარტო 26 პროცენტი — უკანასკნელი თვის განმავლობაში.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 11 იანვარი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას. დაკავებულია მაღლობა, რომელიც მდინარე გარილიანოს დაჰყურებს.

8 იანვარს ღამით მოკავშირეთა საესკადრო ნაღმოსნებმა ადრიატიკის ზღვაში ჩასძირეს მტრის 3 ორანძა ნავი და დააზიანეს 4 ორანძა ნავი. მთელ რიგ რაიონებში სროლა აუტეხეს სანაპირო და რკინიგზის ნაგებობებს.

მძიმე ბომბდამშენებმა გუშინ იერიში მიიტანეს გერმანელების მიერ ოკუპირებულ ინგლისის, სამამულო ომის დღეებში მთელი ჩემი მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობა წარემართე იქითკენ, რომ გამომენახა ახალი საშუალებანი ხბოების პარატიფით დაავადების წინააღმდეგ. ჩემს მიერ შემუშავებული ბაქტერიოფაგი ამ დაავადების წინააღმდეგ ეფექტიური აღმოჩნდა და იგი ხმარებაშია. 1932 წლიდან ვმუშაობ საქმწესახკომის სისტემაში. მაქვს 16 სხვადასხვა მეცნიერული ნაშრომი ვეტერინარული მედიცინის საკითხებზე.

ნ. ბუზარიაშვილი

ბ. ბერიას სახელობის ლენინის ორდენოსანი ოქტომბრის ოლქის ოფიციალური ორგანო

ლონდონი, 11 იანვარი (საკდესი). გამოქვეყნდა ბრეზიდენტ რუზველტისა და პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის ერთობლივი განცხადება გერმანიის წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის შედეგების შესახებ 1943 წელს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ დეკემბერში ჩაძირული სავაჭრო გემების საერთო ტონაჟი კვლავ უმნიშვნელო აღმოჩნდა.

მთელი 1943 წლის განმავლობაში გერმანიის წყალქვეშა ნავებმა მოახერხეს ჩაეძირათ მათ მიერ 1942 წელს ჩაძირული გემების ტონაჟის სულ 40 პროცენტი. ხოლო გაერთიანებული ერების მიერ 1943 წელს აგებული სავაჭრო გემების ტონაჟმა დაახლოებით ერთი ორად გადააჭარბა იმ გემების ტონაჟს, რომლებიც გადაცემული იყო საექსპლოატაციოდ 1942 წელს. გასულ წელს ჩაძირული ტონაჟის თითქმის ნახევარი დაიღუპა პირველი კვარტალის განმავლობაში, ტონაჟის 27 პროცენტი ჩაძირული იყო მეორე კვარტალში და მარტო 26 პროცენტი — უკანასკნელი თვის განმავლობაში.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 11 იანვარი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას. დაკავებულია მაღლობა, რომელიც მდინარე გარილიანოს დაჰყურებს.

8 იანვარს ღამით მოკავშირეთა საესკადრო ნაღმოსნებმა ადრიატიკის ზღვაში ჩასძირეს მტრის 3 ორანძა ნავი და დააზიანეს 4 ორანძა ნავი. მთელ რიგ რაიონებში სროლა აუტეხეს სანაპირო და რკინიგზის ნაგებობებს.

მძიმე ბომბდამშენებმა გუშინ იერიში მიიტანეს გერმანელების მიერ ოკუპირებულ ინგლისის

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საბრძოლო მოქმედება

ჟენევა, 11 იანვარი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, ბანია-ლუკას რაიონში სასტიკი ბრძოლები სწარმოებს. ჰიტლერელები, რომლებმაც სლავონიიდან მაშველი ძალები მიიღეს ასი ტანკისა და ჯავშნიანი მანქანის, აგრეთვე ქვეითი ჯარის ნაწილების სახით, რამდენიმე მიმართულებით უტევენ სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას და ცდილობენ შეიჭრან განთავისუფლებულ ტერიტორიაში. გერმანიის ერთმა კოლონამ მოახერხა ტანკების და ავიაციის დახმარებით გაჭრილიყო მრკონიჩგრადის მიმართულებით. ტრავნიკის სექტორში გერმანელები უკუქცეულ იქნენ და ბრძოლის ველზე დასტოვეს ბევრი მოკლული და დაჭრილი. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მარტო ერთმა ბრიგადამ 200-მდე გერმანელი გაყლიტა.

აღმოსავლეთ ბოსნიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა სასტიკად გაანადგურეს გერმანიის „სს“-ელთა დივიზიის პოლკი. გრებენის მიდამოებში განადგურებულ იქნა ამავე დივიზიის ორი ბატალიონი, ამასთან მოწინააღმდეგემ 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა მოკლულთა სახით. მოსპობილია გერმანელთა აღალი, დავლად წაღებ